წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    შაბათი სექტემბრის 16—(29) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი ღირს . . . მ. მან.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 127    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 127

## ჭიათურის მოქალაქენო!

### ქალაქის საბჭოს არჩევნებში

### მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას

# № 4

1. პაპავა ბარნაბა ამბაკოს ძე—სამთომადნო ინჟინერი.
2. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე—შავი ქვის მრეწველი.
3. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე—ინჟინერი-კომერსანტი.
4. ფხალაძე მარკოზა იოსების ძე—ვაჭარი.
5. აბულაძე დავით თიმურაზის ძე—შავიქვის მრეწველი.
6. ბერიძე ილარიონ დავითის ძე—შავიქვის მრეწველი.
7. ჩიხელიძე სიმო დიმიტრისძე—ვაჭარი-ხე-ტყის
8. აბაშიძე ჯიბო იოსების ძე—შავიქვის მრეწველი.
9. ლეჟავა ანგია პეტრეს ძე—სახლის მეპატრონე.
10. აბუალაძე ვასილ ნიკოლოზის ძე—ნოტარიუსი.
11. გვანცელაძე ვარლამ სტეფანეს ძე—ვაჭარი.
12. ბურჯანაძე ამბერკი ბესარიონის ძე—სასამართლოს ბოქაული.
13. იაკობაშვილი ევგენი იოსების ძე—ნატარიუსისა თანაშემწე.
14. კუჭავა რაჟდენ კონსტანტინეს ძე—ვაჭარი.
15. კოხრეიძე ილარიონ იაკობის ძე—ვაჭარი.
16. წერეთელი ნესტორ ზაქარიას ძე—შავიქვის მრეწველი.
17. ყიფიანი კოსტანტინე აპოლონის ძე—შავიქვის მრეწველი.
18. დეკანოზიშვილი ირაკლი გრიგოლის ძე—ტეხნიკი.
19. შავგულიძე ვარლამ ტეხნიკი.
20. ბარათაშვილი ივანე მიხეილის ძე—შავიქვის მრეწველი.

## სამტრედიის მოქალაქენო!

ქალაქის საბჭოს არჩევნებში მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას

# № 4.

1. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე,—პედაგოგი, ყოფილი საბჭოს ხმოსანი ქალ. თფილისისა.
2. ლორთქიფანიძე ნიკოლოზ ბიქტორის ძე,—იურისტი, რკინის გზის მოანგარიშეს თანაშემწე.
3. ქართველიშვილი იოსებ კიმოთეს ძე,—სამტრედიის საურთიერთო ნდობის ბანკის დირექტორი.
4. სტურუა სტეფანე პეტრეს ძე,—საურთიერთო საზოგადოების ბანკის საბჭოს წევრი, კომერსანტი.
5. ჭეიშვილი პორფილე ალექსის ძე,—მრეწველი.
6. ჟორდანია ანტონ ირაკლის ძე,—რკ. გზის მოსამსახურე, საბარგო ხაზინადარი.
7. მებურიშვილი ლონგინოზ ბესარიონის ძე,—რკინის გზის მოსამსახურე, სათადარიგო აგენტი 1 განყოფილებისა.
8. ბახტაძე არეთა ბართლომეს ასული,—მასწავლებელი.
9. ნაცვლიშვილი კონსტანტინე მაქსიმეს ძე,—ხელოსანი.
10. კაკაბაძე ბესარიონ კიმოთეს ძე,—ვაჭარი.

## სამტრედიის ქალ. საბჭოს არჩევნები.

1917 წ. 17 ენკენისთვეს დანიშნულია ქალ. სამტრედიის ხმოსნების არჩევნები, ქალაქი ერთ საარჩევნო ოლქათ არის აღიარებული. ამრჩევლებისათვის ხმის მიცემის გასაადვილებლათ საარჩევნო ყუთები დაიდგმება 5 ადგილას: 1. ილორის ორკლასიან სასწავლებელში. 2. მაცხოვრის სამრევლო შკოლაში. 3. მელოურში მიხეილ დიმიტრის-ძე ბუჭუას სახში 4. საზოგადო კლუბის დარბაზში. 5. რკინის გზის კლუბში. ამ დანიშნულ ადგილებში ვისაც სად უფრო ეახლოვება ხმას იქ მისცემს.

სამტ. საქ. საარჩევნო კომიტეტი.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის საკეთებელი სოდა და მისი ყოველივე მასალები. ფასები ზომიერია.

მშობლები ივანე ანდროს ძე, ნიფიდორე ნიკო, ასული, დები ელენე, თამარი, თინა და შურა, ძმები: კოლია, ანდრუშა ბაბუა ანდრო ივანეს ძე ბიძები იობა, ფილიპე, მარკოზ, მათე და ფარნაოზ ჯანელიძეები შვილებითურთ, ბიცოლები ედუკი, ნატა, ქეთევან და სონა ჯანელიძეებისა, მამიდები მაიკო მანაგაძისა და კესარია ყურაშვილისა, ბიძები ანტონ გრიგოლის ძე მანაგაძე შვილებითურთ, ბიძა დიმიტრი ანდროს ძე თვალაძე შვილებითურთ გაუწყებთ გადაცვალებას 13 ამ თვეს მე-4 კლასის მოწაფისა

### ეკატერინე (კატუშა) ჯანელიძის ასულის

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება 19 ამა თვეს, დილით სამშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე. ქვარიანის შესახვევი, საკუთარი სახლი.

დამწუხრებულნი დიმიტრი და იესე (სესიკო) ბრეგაძეები და მეუღლე მათი ელისაბედ და ელენტი, შვილები ლიუბა, ვალერიან (ვალიკო) და კონსტანტინე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 8 ეკენისთვეს უეცრივ ტრაღიკულათ გადაიცვალა პირველების საყვარელი ბიძაშვილი, მეორენის მაზლი და მესამენის საყვარელი ბიძა

### იოსები გიორგის ძე ბრეგაძე

პანაშვიდები ყოველ-დღეს საღამოს 6-საათზე (ძველი დროით) უკანასკნელი დღე გამოთხოვებისა დანიშნულია 17-ეკენისთვეს დღით კვირას, ნაშვადღევის 4 საათზე (ძვ. დრ.) მიცვალებულს გაასვენებენ საფიჩხიის სასაფლაოზე საკუთარ სახლიდგან, თბილისის ქუჩა.

### ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თავის სახელოსნოებისათვის მას ესაჭიროება

**მ ე წ ა ღ ე ე ბ ი  დ ა  მ ე წ უ ღ ე ე ბ ი**

პირობების გასაგებათ მიმართეთ სასურსათო კომიტეტში საღამოს 5 საათიდან 7 საათამდი.

### ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ტყავეულობის, დამზადებული ფეხსაცმელების და მიტკლის დარიგების წესები გაზეთებში ცალკე გამოცხადდება.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## კიევის ყრილობა.

რევოლუციამ ჩაგრულ, დამონებულ ერთა კითხვა დასვა გადასაჭრელათ, მაგრამ, სამწუხაროთ, რევოლუციამ ჯერჯერობით სამართლიანი, დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გასცა ეროვნულ კითხვას. იყო მთავრობა ზომიერ ელემენტების, კადეტებისა. მას მოჰყვა კოალიციური მთავრობა, რომელშიც სოციალისტებიც შედიოდენ, ეხლა უკვე რესპუბლიკაა და სახელმწიფოს სათავეში ხუთ წევროვანი დირექტორია უდგას, მაგრამ, როგორც ვსთქვით, რევოლუციის განვითარების არცერთ პერიოდში არცერთი მმართველობა არა მპყრობელ ერების ბორკილების ახსნის კითხვას დადებითად არ შეხვედრია.

ხვალ მეუმრავლესეთა მმართველობას მოელიან. წინანდელი მმართველობა სოციალისტებთან ერთად ეროვნულათ ამოძრავებულ ერებს ეუბნებოდა: „ჯერ მაგის დრო არ არის, დამფუძნებელ ყრილობას დაუცადეთო“.

ვნახოთ რას ეტყვიან მეუმრავლესენი არა რუს ერებს, თუ მათ ბედმა ქვეყნის დაუფლება და ბედ-იღბლის განგება ჩაუგდო ხელში. დღემდის, რაც ეროვნულ კითხვის მოსაგვარებლად გაკეთებულია, ყველაფერს არანორმალი ხასიათი ჰქონდა. იმ დროს, როდესაც მთელი ცხოვრება განახლებას ეძლეოდა, კლასები თავის მდგომარეობას იუმჯობესებდენ, სახელმწიფოს მესაჭეობა ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა, მწარე დღეს გაჩენილი ეროვნული კითხვა ისევ ერთ წერტილზე გაყინული რჩებოდა. თითქოს ეროვნულ კითხვას, როგორც ასეთს (ზოგს მის არსებობაშიც კი ეჭვი ეპარებოდა), თუ გადაწყვეტა არა, განხილვა მაინც არ სჭიროდა. ვინც გაკადნიერდებოდა და ეროვნულ პრინციპს დაუქვემდებარებდა თავის მოღვაწეობას, მას რევოლუციის ძალთა დამქსაქსავათ ნათლავდენ. კერენსკი ამბობდა: „რევოლუციას გაღრმავება, შემოქმედება სჭირია და მას ყველამ ხელიხელ გაყრილი უნდა უთანაშრომლოთო. რევოლუციის გმირს ავიწყდებოდა, რომ შემოქმედება აუცილებელი იყო აგრეთვე ეროვნულ კითხვისთვისაც.

სახელმწიფო განყენებული სხეული არ არის. მას წარმოადგენს ხალხი და რუსეთის ხალხი კი ერებისაგან შესდგება. როგორღა მოეწყობოდა კეთილ-სასურველათ სახელმწიფოს ცხოვრება, თუ კი ყველა ერი არ გაინაწილებდა რევოლუციის სიკეთეს—თავისუფლებას.

არანორმალი ყალბი განწყობილება დღეს აღარ არის. ეროვნული კითხვა გასცილდა თეორეტიულ ძიების საფეხურს. პოლონეთი და ფინეთი ამის მაგალითია:

როგორიც არ უნდა იყოს ამიერიდან მთავრობა, იგი იძულებული იქნება ეროვნულ კითხვას პირდაპირი ანგარიში გაუწიოს.

ერები ამას გრძნობენ და საქმიანობას ეძლევიან. ფინეთის შემდეგ რუსეთის ერთა შორის ეროვნულ ასპარეზზე ძლიერ ნებისყოფით გამოვიდა უკრაინა. პირველათ მან დატუქსვა შეიხვედრა, მაგრამ ბოლოს რამოდენიმეთ მიაღწია ეროვნულ წადილს. ამჟამათ უკრაინამ კიევში სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელთ მოუწოდა და ეროვნული ბჭობა გამართა. უკრაინა ოცნებობს. რომ მცირე ერების მებაირაღტრეთ და მედროშეთ გამოვიდეს. ბჭობაზე სხვადასხვა მიზეზების გამო არ არიან პოლონელები და ფინები.

კიევის თათბირს რეალ მოაზროვნეთათვის ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს, იურიდიულ სფეროში ის ვერაფერს მოგვცემს. მაგრამ თავისთავად, მაინც დიდათ საყურადღებოა კიევის ეროვნულ კრების თქმა და დადგენილება. კიევის კრებას ქართველიც დაესწრება, ქართველებს გვაინტერესებს, რას ეტყვის მას ქართულ კითხვის შესახებ კრება. როგორიც არ უნდა იყოს კრების შედეგი, ჩვენ მან თვალი არ უნდა აგვიხვიოს, საკუთარი მოქმედებაა საჭირო საქართველოს ეროვნულ საჭიროებათა განსახორციელებლად, გარეშე საკუთარი მოქმედებისა, საქმიანობისა ყოველი შეთანხმება სხვა ერებთან ფუჭი გამოდგება.

ი. იმერელი.

## ჩვენი მუნიციპალიტეტი.

ქალაქის საბჭოში, 13 სექტემბერს, ისეთმა პარტიულმა მოქმედებამ იჩინა თავი, რომელიც—დარწმუნებული ვართ—მკითხველის თანაგრძნობას ვერ გამოიწვევს.

საქმე იმაშია, რომ სხდომა დანიშნული იყო **7 საათზე**, გაიხსნა კი **9 საათზე**. რა იყო მიზეზი? მკითხველი იფიქრებს, რომ ხმოსნები გვიან გამოცხადდენ. არა! თუმცაღა, სამწუხაროთ, ხმოსანთა ეგრედ-წოდებული „აბსენტეიზმი“ ამ თავიდანვე იწყება, მაგრამ 13 სექტემბერს რვის ნახევარზე ქვორუმი შემდგარი იყო. ხოლო თავმჯდომარე, რომელიც იჯდა თავის კაბინეთში, სხდომის დარბაზში არ გამოვიდა და სხდომა არ გახსნა, რამაც არა თუ მარტო ხმოსანთა, გარეშე მაყურებელთა შორისაც კი უკმაყოფილება და მოუთმენლობა გამოიწვია. ეჭვი არაა, აქ რაღაც საყურადღებო მიზეზი იყო, რომ სხდომის გახსნა გვიანდებოდა. ეს მიზეზი, როგორც შემდეგ გავიგეთ, ორ ფრაქციათა მოქმედებაში იმალებოდა. იმ დღეს დანიშნული იყო სხვა და სხვა კომისიების წევრთა არჩევნები. რასაკვირველია, საბჭოს იმ ფრაქციებს, რომელთაც თავისი კანდიდატების ამორჩევა შეუძლიათ, ძალთა განწყობილების მიხედვით,—თავიანთი კანდიდატების სია უნდა წარედგინათ. ამისთანა ძლიერი ფრაქციები ორია: სოციალ-დემოკრატიული და სოციალ-რევოლუციური, რომელთ, როგორც საბჭოს სხდომებზე ირკვევა, შეთანხმება აქვთ ერთმანეთ შორის. იმის მაგიერ, რომ ამ ფრაქციებს თავ-თავის ბინაზე ეს სიკითხი გადაეწყვიტათ,—თათბირი ამ საგნის შესახებ საბჭოს შენობის ერთ ოთახში გამართეს. აქედან წარმოსდგა ამნაირი უხერხული მდგომარეობა: ორი ფრაქცია სადღაც ერთ ოთახში მსჯელობს კანდიდატთა სიის შედგენის შესახებ, და სხვა პარტიათა წარმომადგენელი ხმოსნები კი სხედან საბჭოს დარბაზში და დაღონებული უყურებენ, როდის ინებებს ბ-ნი თავმჯდომარე სხდომის გახსნას. და თავჯდომარე კი, თავის მხრივ, უყურებს, როდის გაათავებენ სოციალ-დემოკრატები თავის კერძო თათბირს.

ჩვენ გვგონია, უმჯობესი იქნებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია საბჭოს შენობას პარტიულ ბინათ არ გახდიდეს და სხვა პარტიათა წარმომადგენლებს ორ და სამ საათს უნაყოფოთ არ ალოდინებდეს.

დ. გ- ლი.

# რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

**სამხედრო და საზღვაო მინისტრები დეპუტატთა საბჭოში**

**პეტროგრადი,** ენკენისთვის 11. დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტის სხდომაზე ენკენისთვის 10-ს დაესწრნენ: სამხედრო მინისტრი გენერალ-მაიორი ვერხოვსკი და საზღვაო მინისტრი კონტრ-ადმირალი ვერდერევსკი. **ვერდერესკიმ** განაცხადა: "რევოლუციის პირველ დღეებიდან მე განუწყვეტელი კავშირი მქონდა მეზღვაურთა ორგანიზაციებთან. შნერა ბალტ. ფლოტის უფროსად ნდონდობის გზას დავადეგ, ვენდობოდი როგორც მეზღვაურთ, ისე მათ ორგანიზაციებს. უმრავლესობა სამშობლოს და თავისუფლების ინტერესების მორჩილი შეიქმნა. ჩემი სჯეროდათ, რადგან მე მათთან მუდამ გულახდილი ვიყავი. როგორც მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მყოფი აღვნიშნავ, რომ მანეთის ფასის რყევამ ფლოტზე მძიმე შედეგები წარმოშვა. ბალტიის და შავი ზღვის ფლოტებმა ერთხმად გმკიცხეს კორნილოვის აჯანყება. ეხლა ჩვენ კვლავ ვამჩნევთ, რომ მეზღვაურთა და უფროსების შორის კვლავ უთანხმოებამ იჩინა თავი. ეხლანდელი შემადგენლობა ეს ჩვენი ფლოტის უკანასკნელი რესურსია. უთანხმოებამ უმეტესად ფლოტის იმ ნაწილში იჩინა თავი, რომელიც უსაქმოდ დარჩენილი. სანაღმო კრეისერ-ჯავშნოსნებზე და წყალქვეშებზე მეზღვაურთ კარგი განწყობილება აქვთ. ესე არ არის პირველ ხარისხოვან გემებზე. მათი მეზღვაურნი იმდენად უკმაყოფილონი არიან რომ მათ შორის ახალ ექსცესებს უნდა მოველოდეთ. მაგრამ მე შემიძლიან დანამდვილებით ვსთქვა, რომ ჯერჯერობით კი ხრავითარი საბაბი არ არის. თუ მათ შორის არა სასიამოვნო ექსცესები მოხდა ეს მეტად მძიმედ დააჩნდება სამშობლოს. ოფიცრობა სულიერად დაეცემა. მეზღვაურნი უნდა დავარწმუნოთ, რომ საჭიროა და შესაძლებელიცაა მათი ნდობა უფროსებისადმი. მხოლოდ ეს იხსნის ფლოტს. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ მეზღვაურთა შორის უფროსებისადმი ნდობის აღდგენაში დიდ დახმარებას გამოგვიჩენთ. მე ვაცხადებ, რომ მეზღვაურთა ორგანიზაციების უფლების მოკლებას არ მოვითმენ. უპირველეს ყოვლისა მოვითხოვ, რომ აღდგენილ იქმნენ ფლოტის ორგანიზაციები, რომლებიც მეტად დაქვეითდნენ კორნილოვის აჯანყების გამო. მოგვეხმარეთ უპასუხისმგებლო აგიტაციასთან სზრძოლველად, რომელიც მხოლოდ იქითკენ არის მიმართული, რომ ოფიცრებისადმი უნდობლობა გაუღვიონ მეზღვაურებს. მხოლოდ დემოკრატიასთან მჭიდრო კავშირი შემაძლებინებს ფლოტში მუშაობას და ასეც ვიმუშავებ. როდესაც მე შევნიშნავ, რომ ჩემდამი უნდობლობას იჩენენ—ფლოტს თავს დავანებებ. (ტაში.)

**სამხედრო მინისტრმა** განაცხადა; ჩვენ იმ სახელმწიფოს ვებრძვით, რომლის თავიც მილიტარიზმის იდეას ქადაგებს და დიდ კაპიტალს ეყრდნობა. გერმანეთის კანცლერი მიხაელისი, ზავის პირობების ოფიციალ განცხადებაში ხმას არ იღებს რუსეთზე. კიდევ კარგი, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ერებმა განაცხადეს, რომ სეპარატიულ ზავს არ შეურიგდებიან. ამაზე ჩვენ გუშინ ნამდვილი ცნობები მივიღეთ. თუ ჩვენ წინააღმდეგობა ვერ შევძელით ჩვენი მონობა ნათელი უნდა იყოს. გერმანეთის ჩექმა გამეფდება ჩვენზე. ავსტრია, ოსმალეთი და ბოლგარეთი უფსკრულის წინ დგანან. და თუ რუსეთის დემოკრატია შექმნის რევოლუციურ წესსა და ძალას, მტრები სასოწარკვეთილებას მიეცემიან და ჩვენ სასურველ ზავს მივაღწევთ. იმ წამად ხალხისა და მის მთავრობის მიზანი უნდა იყოს: ზავისკენ სწორე ნაბიჯით სვლა, ძლიერ ლაშქრის შექმნა, პურის მიწვდა ხალხისა, ცოტა ყბედობა, პოლიტიკა და მეტი საქმიანობა. უახლოეს მიზნად უნდა დავისახოთ ისეთი მთავრობის შედგენა, რომელიც შეგვაძლებინებს აღნიშნულ მიზნების განხორციელებას. ჩვენ ორგანიზაცია გვაკლია, და როდესაც იგი გვექნება სიკვდილის დასჯაც მოისპობა. მაშინ აღარ მოხდება ისეთი მკვლელობა, როგორსაც ალაგი ჰქონდა ჰელსინგფორსში და ვიბორგში, რამაც სირცხვილი გვაჭამა. მეთორმეტე საათია და ამ საშინელ საათში რუსის ერმა უნდა განაცხადოს, რომ იგი ძლიერი ერია, რომ მას დიადი იდეალები ამოქმედებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მონობა მართებს. მინისტრის სიტყვას აღფრთოვანებულ სიტყვით შეეგებნენ.

საზღვაო მინისტრმა საბჭოს გააცნო ფლოტის მდგომარეობა ფინლიანდიაში. დასასრულ ცენტრალ კომიტეტმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „მოვისმინეთ რა სამხედრო და საზღვაო მინისტრების მოხსენებები და გავითვალისწინეთ რა მდგომარეობა ჰელსინგფორსისა და ბალტიის ფლოტისა ვაღვიარებთ რა მდგომარეობას სამშობლოსა და რევოლუციის საფრთხედ—ცენტრალი კომიტეტიადგენს: გაიგზავნოს ჰელსინგფორსში 5 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია—მას დაევალოს: 1) მხარი დაუჭიროს ცენტრალ კომიტეტის რეზოლიუციას, რომელიც ჰკიცხავს ოფიცრების ყოველივე ძალადობას და თვითნებობით განსჯას, როგორც რევოლუციის ჩირქის მომცხებს და მის საფრთხეს,—მოითხოვოს დაუყოვნებლივ მათი მოსპობა. 2) დახმარება აღმოუჩინოს სასამართლოებრივ გამოძიებას, მომხდარ მკვლელობის გამო. გამოძიებაში მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ ორგანიზაციებმა. 3) ხელი შეუწყოს ნორმალურ მოქმედების აღდგენას გემის კომიტეტებში და ყველგან უფროსების უფლებათა აღდგენას. 4) გაარკვიოს დანამდვილებით ის ხმები რომლებიც მოწმობენ, რომ ბალტიის ფლოტში გერმანეთის მთავარშტაბის აგენტები პროვოკაციას ეწევიანო და აუხსნას ამხანაგ მეზღვაურებს თუ რა დამღუპველი შედეგები მოჰყვება სამშობლოსა და რევოლიუციისათვის ფლოტის დაშლას. კრებამ დაადგინა, რომ დელეგაციაში შევიდნენ ორ-ორი წარმომადგენელი გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტისაგან. ცენტრალ კომიტეტმა აირჩია ჰელსინგფორსში გასაგზავნი დელეგაცია და ფინლიანდიის საკითხზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: სალამით ვეგებებით ფინლიანდიის სოციალ-დემოკრატების წინადადებას აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად საერთო კომისიის შედგენის შესახებ, რომელმაც რუსეთსა და ფინეთს შორის განხეთქილება უნდა მოსპოს. ცენტრალ კომიტეტმა თავისიანებში აირჩია სამი წარმომადგენელი: ლუნაჩარსკი, პოზერნი და ჩერნოვი.

**პეტროგრადის დაცლა.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 11. დროებით მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა დადგენილება პეტროგრადის დაცლის შესახებ. აიკრძალა გადასვლა მოსკოვში.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 11. სენატორს ზაიცევს დაეკისრა ხელმძღვანელობა პეტროგრადის დაცლაში, უმთავრესად იგი იმ ნაწილს გაუწევს ხელმძღვანელობას, რაც კი ეხება სასამართლოს სფეროს.

**მუშათა საბჭო ბოლშევიკების გასამართლებაზე**

პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს სხდომაზე ენკენისთვის 9 ს მიიღეს რეზოლიუცია ივლისის ამბების გამო, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მთავრობის მიერ მიღებული მეთოდი ივლისის მოძრაობაში ფაქტიურად თუ საეჭვო მონაწილეთა შესახებ გარდუვალ ჰუჭყათ დაედება სახელმწიფოს ოფიციალ მესვეურთა იუსტიციას. ივლისის მოძრაობა წარმოდგენილია როგორც ბოლშევიკურ პოლიტიკურ პარტიის საომარ აჯანყების პროექტი. მთავრობას დღესაც არ გამოუკვლევენბია ივლისის მოძრაობის გამო ძირითადი ფაქტიური მხარეები. რეზოლიუცია უთითებს იმაზე, რომ მუშათა პარტიის ნაცადი ბელადნი, რომელთაც თვის მოღვაწეობით დაამტკიცეს შეურყეველი ერთგულება სოციალიზმისა და რევოლიუციის მიმართ, გამოყვანილნი არიან, როგორც გერმანიის იმპერიალიზმის აგენტები. რეზოლიუცია შენიშნავს, რომ დემონსტრანტები სამართალში მიცემულნი არიან მე-100 მუხლის ძალით და გამოძიებას აწარმოებდენ ძველი რეჟიმის სამართლის მოღვაწენი და ამტკიცებს, რომ ლენინი და ზინოვიევი ყოველთვის მზად არიან გამოცხადდენ სასამართლოს წინაშე, თუ დაცულ იქნება სამართლი ელემენტარული პირობები. დასასრულ რეზოლიუცია ზიზღით იხსენიებს დამსახურებულ და უმწიკვლო რევოლიუციონერებზე ცილისწამების გამავრცელებლებს და დაჟინებით მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ თავდებობით განთავისუფლებულ იყვნენ ყველა რევოლიუციონერები, რომელთაც წინაშ წარუდგინეს პოლიტიკური საბრალდებლო ოქმი.

პეტროგრადის ჯარ. დეპ, საბჭოს სექციაში ენკენისთვის 9-ში მოხდა არჩევნები. ესერებისა, ტრუდოვიკებისა და მენშევიკების მხრით ამორჩეულია ოგურეცკი, შირკოვი, ბალაშევი, სომოვი და სკალოვი; ბოლშევიკების მხრით—სადოვსკი, ეფრემოვი და მიტროფანოვი. იმავე სექციაში მსჯელობა იქონიეს დამკვრელი ბათალიონების შესახებ. მომხსენებელმა განმარტა, თუ რატომ ხდება განხეთქილება ამ საგნის შესახებ რევოლუციურ დემოკრატიაში, შემდეგ დასძინა, საჭიროა ყველანი შეთანხმდნენ და დეპუტატთა საბჭოს მიენდოს ამ საქმის მოგვარებაო.

ლეშევიჩმა სთქვა, დამკვრელ ბათალიონის შედგენა შეუძლებელია არმიის რევოლუციურ თვალსაზრისითაო. ამას დაურთეთ ისიც, რომ მოხალისეებს ომის დროს განხეთქილება შეაქვთო. დიდი ხნის კამათის შემდეგ დაადგინეს დამკვრელ ბათალიონების დაშლა.

**პლეხანოვის არჩევა**

**რიაზანი.** ენკენისთვის 11. ქალაქის გამგეობამ პლეხანოვი აირჩია დემოკრატიულ თათბირზე დასასწრებად.

**ყაზახების მოძრაობა**

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 10. მოხდა სამხედრო წრის პრეზიდიუმის კრება. კრებას დაესწრენ სამხედრო მთავრობა, მამასახლისები და სხვა წევრები, მაგრამ კრებას არსებითი შედეგები არ ჰქონია. კალედინის საქმის გამო სამხედრო წრემ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ სამხედრო წრის მიერ თავისუფლად არჩეულ ატამანს მთავრობა არ უნდა ამტკიცებდესო. რეზოლუცია მოითხოვს, რომ ატამანს დაუყოვნებლივ მიენიჭოს თავის უფლებები და ყაზახობა მორალურად დააკმაყოფილონ. სამხედრო წრემ წინადადება მისცა გენერალ კალედინს დაუყონებლივ შესდგომოდა სამხედრო ატამანის თანამდებობას. დაადგინეს აცნობონ დროებით მთავრობას, რომ საჩქაროდ განმარტოს ოფიციალად ხმები დონის აჯანყების შესახებ ყაზახების დასამშვიდებლად. წრე შეუძლებლად სცნობს კალედინის ოლქიდან გასვლას. რეზოლუციის მიღების შემდეგ კალედინს დიდი ოვაცია გაუმართეს.

**ხმები დონის აჯანყებაზე.**

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 10. მოხდა სამხედრო წრის პრეზიდიუმის კრება. კრებას სხვათა შორის ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენლები, სკობოლევი და თერგისა და ყუბანის ყაზახთა წარმომადგენლებიც დაესწრნენ. კრებას უნდა გამოერკვია ის გარემოებანი, რომელთაც კავშირი აქვთ დონის აჯანყების ხმებთან. სკობოლევმა იკითხა, რა მიზეზით მიგყავდათ ჯარი დონისკენ და ან კალედინი ოლქში რად მოგზაურობდაო. სამხედრო მთავრობის წარმომადგენლებმა სთხოვეს თვით ეპასუხნა, თუ რამ აიძულა პეტროგრადი დონის წინაღმდეგ ამხედრებაზე. ბაგაევმა, სკობოლევის საპასუხოდ განაცხადა, რომ ჯარი დონში წესიერების დასამყარებლად მიგვყავდა, რადგან გლეხებმა ტაციაობა გაჩაღეს, ამასთან გვსურდა მაღაროებში ეკონომიური წესი დაგვეცვა. სკობოლევმა დამსწრეთ მოუწოდა შეედგინათ საგანგებო კომისია საქმის ყოველმხრივ გამოსაძიებლად. მან სიხარულით აღნიშნა, რომ პროვოკაციამ არ გასჭრა.

# სასამართლოს განაჩენი სუხომლინოვის შესახებ.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 13. ნაფიცმა მსაჯულებმა რვა საათის ბჭობის შემდეგ დილის 4 საათზე გამოიტანეს სუხომლინოვის საბრალმდებლო ვერდიქტი. ის დამნაშავეთ იცვნეს სახელმწიფოს ღალატში, უმოქმედობაში და თავის უფლებების საზღვრების გადალახვაში. ბრალდება, რომ სუხომლინოვი მტერს შეგნებულად ხელს უწყობდა, ნაფიც მსაჯულებისაგან უარყოფილია. სუხომლინოვის ცოლი გამართლებულია. სასამართლომ სუხომლინოვს განაჩენი გამოუტანა, რომლის ძალითაც მას ყოველივე უფლება აეხადა და სამუდამოთ მაღაროებში მუშაობა მიესაჯა. სუხომლინოვი განაჩენს სულის სიმშვიდით შეხვდა, ცოლს ისტერიკა დაემართა.

# ზავის გარშემო.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

**ხმები ზავზე**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 11. გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ამ უკანასკნელ ხანში გავრცელებული ხმები საზავო წინადადებებზე, რომელთაც ვითომ ზოგიერთი სახელმწიფოები აყენებენ მთლად მოკლებულია სიმართლეს. ასევე სიმართლეს მოკლებულია ის ცნობა, ვითომც ბერნში მოსაწვევ სამშვიდობო კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. რუსეთსა და მის მოკავშირე სახელმწიფოებს მასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

**რუსეთის დიპლომატიური წრეები გერმანეთის პასუხზე**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 11. პეტროგრადის დიპლომატიურ წრეში ფიქრობენ, რომ გერმანეთის პასუხი პაპის ნოტაზე არავის არ დააკმაყოფილებს. გერმანეთი კვლავ მალავს თავის მიზნებს, არც გერმანეთის და არც ავსტრო-უნგრეთის ნოტა იმის საფუძველს არ იძლევა, რომ ვუახლოვდებით ზავზე ლაპარაკის დაწყებას.

**გერმანეთის პრესა ნოტის პასუხზე**

**სტოკჰოლმი** ენკენისთვის 10. გაზეთ „ფოსიშე ცეიტუნგის" აზრით გერმანეთის, საზავო ნოტას ღირებულება იმით ეძლევა, რომ მასში ტერიტორიალ პრობლემებზე ლაპარაკი არ არის, რომელიც მხოლოდ საზავო კონფერენციაზე იქნება წამოყენებული განსახილველად. რაც შეეხება სახელმწიფოთა იარაღის აყრას და საერთაშორისო არბიტრაჟს, ეს დამოკიდებულია იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ევროპა მოექცევა ომის შემდეგ.

**იტალია გერმანეთის საპასუხო ნოტაზე**

**რომი.** ენკენისთვის 9. უკეთებს რა კომენტარიებს ცენტრალ იმპერიების პასუხს პაპის საზავო ნოტაზე, იტალეთის პრესა აღნიშნავს, რომ ცენტრალი იმპერიები გვერდს უვლიან რეალ პრობლემებს და კმაყოფილდებიან მხოლოდ ზავის იდეის მიღებით.

**ბერნის სამშვიდობო კონფერენციის სამზადისი.**

**სტოკჰოლმი.** ენკენ. 11 ბერნის სამშვიდობო კონფერენციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ კონფერენცია აუცილებელი შეიქმნაო. 9 კომისიის მიერ შემუშავებული ტეზისები ასეთია: ანექსიაზე უარის თქმა, პლებისციტის შემოღება, ნაციონალურ პრობლემათა გარდაწყვეტა, ეკონომიური თავისუფლება, ღია გასავალთა საკითხები, ჰააგის კონფერენციის იდეათა განვითარება, საერთაშორისო საანკეტო და შეთანხმებელი საბჭოები, საერთაშორისო ინსტანცია იარაღის აყრის შესახებ, ზღვების თავისუფლება, უცხოეთის პოლიტიკის შესახებ საპარლამენტო კონტროლის შემოღება და სხვა. ამორჩეულია აღმასრულებელი კომიტეტი. საფრანგეთი, რუსეთი და საზოგადოდ სლავიანური ერები კონფერენციაზე წარმოდგენილი არ არიან. 9 კომისიის შედგენილობაში შედიან ნეიტრალ ქვეყნების წარმომადგენელნი. კომისიაშივე შედიან ზოგია ერთ მებრძოლთა დელეგატებიც. მოწვეულია კომისიის ას წევრზე მეტი, რომელნიც ჯერ ცალკ-ცალკე ითათბირებენ. ასევე მოწვეული არიან 100 ექსპერტი მებრძოლთა და ნეიტრალ ქვეყნებიდან, მეტ წილად აქ არიან პარლამენტარები, იურისკონსულები და საერთაშორისო უფლების კარგი მცოდნენი.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

**დანიშვნა.**

**პეტროგრადი ენკენ.** 13. უმაღლეს მთავარ სარდლის კაბინეტის უფროსი, გენერალ-მაიორი ბორონოვსკი ინიშნება ჩრდილოეთის ფრონტის შტაბის გენერალ კვარტირ-მეისტერათ. ბორონოვსკის ადგილზე ინიშნება პოდპოლკოვნიკი ზვერევი, რომელსაც პოლკოვნიკის ხარისხი ებოძა.

**გენერალურ შტაბის განკარგულება**

**პეტროგრადი** ენკენისთვის 13. გენერალური შტაბის მართველობამ განკარგულება გამოსცა, რომ ის ჯარისკაცები რომლებიც მინდვრების სამუშევრებიდან დაბრუნდებიან, ჩაირიცხან სათადარიგო ნაწილებში და დაუყონებლივ იქნენ თავიანთ ნაწილებში დაგზავნილი. ამავე დროს მოწერილობები გაეგზავნათ სამხედრო უფროსებს, რათა მათ თავიანთ ნაწილებს აცნობონ, რომ ვინც ვადის გასვლის არ დაბრუნდება, ის დეზერტირათ ჩაირიცხება.

**ქირა ჯარისკაცებს მუშაობისათვის**

**პეტროგრადი,** სექტემბრის 13. გენერალურ შტაბის სამობილიზაციო განყოფილებამ გამოსცა განმარტება იმ ჯარის კაცების შრომის დაკმაყოფილების შესახებ რომლებიც გადაგზავნილი არიან სამუშევრათ რკინის გზებში და სამადნეულო ქარხნები. სათანადო დაწესებულებებში უნდა აღიძრას შუამდგომლობა მათი წინანდელ მდგომარეობაში დასაბრუნებლათ, რის შემდეგ ისი მიიღებენ ქირას, როგორც ნებაყოფლობით დაქირავებულნი.

**რიგაში დარჩენილი რუსები.**

**პეტროგრადი** ენკენისთვის 13. პეტროგრადში მოსულ კერძო ცნობებით, გერმანელებისგან რიგის დაკავების დროს იქ იმყოფებოდა 150 რუსი. უმრავლესობას შეადგენდენ პარტიულ ორგანიზაციების წევრები-ლატიშების, ესდეკების პარტიისა.

# უკანასკნელი დეპეშები

კორნილოვი და ამბოხების მოანწილენი გადაიყვანეს სპეციალურ მატარებლით თავდაცვის კომიტეტის თანხმობით ქალაქ ბიხოვში. გადაყვანილია 20 სხვა, მათ რიცხვში გენ. რომანოვსკი, ლუკომსკი და პოდპოლკოვნიკი საგაროვი.

—

საზღვაო მინისტრის განკარგულებით არხანგელსკში შესვლა აიკრძალა. შეიძლება შესვლა მხოლოთ საგანგებო ნებართვით. ნებართვას მისცემენ კერძო დაწესებულებების უფროსები, საგუბერნიო კომისრები, საზღვაო გენერალური შტაბი, ქ. არხანგელსკის და ბლომორსკის რაიონების მთავარ-სარდალი. ბრძანება არ ეხება არხანგელსკის მკვიდრ მცხოვრებთ.

საზღვავო მინისტრი **ვერდერევსკი.**

—

კერენსიმ მთავარ სარდლის ბანაკში უკრაინელების დეპუტაცია მიიღო.

—

უკრაინელების სამხედრო გენერალმა. კომისარიატმა გამოარკვია კითხვა ჯარების უკრაინიზაციის შესახებ.

—

კიევის თათბირზე გამოქვეყნდა კაზაკების განცხადება, რომლითაც ისინი მოითხოვენ რომ „კაზაკი" წოდების კი ნიშნავდეს, არამედ ეროვნებას.

—

ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია 119 ხმით 111 წინაღმდეგ კოალიციურ მთავრობის პრინციპისა, იმ შესწორებით, რომ კოალიციიდან კადეტები გამორიცხულ უნდა იქმნენ.

—

გაზეთებში მოთავსებულ ხმების გამო ტერეშჩენკოს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან: ტერეშჩენკომ განუცხადა კერენსკის, რომ ის მთავრობაში მუშაობს არა ნორმალურათ სთვლის. მიუხედავათ ამისა ის შეუძლებლათ სცნობს ამ ჟამათ თანამდებობიდან გადადგომას, სანამ მის მოადგილეს არ დანიშნავენ. აგრეთვე განუცხადა, რომ ერთათ ერთი საშუალება მთავრობაში მუშაობისა იქნება შექმნა ნაციონალურ თავისუფალ და ავტორიტეტულ მთავრობისაო.

—

ბრბომ ბაზარზე დაამსხვრია და გაძარცვა სავაჭრო სახლები. გამოწვეულია ჯარი.

—

ღამის სხდომაზე დემოკრატიული თათბირზე გასაგზავნათ დაამტკიცეს ბოლშევიკებიდან ლენინი, ზინოვიევი და სადოვსკი, ესერებიდნ დეიშენი და ბოლიდიროვი, მენშევიკებიდან სკვორცოვი.

—

ფინანსთა მინისტრმა გამოაქვეყნა სახელმწიფო ბანაკის მდგომარეობა. ომისგან გამოწვეული ხარჯები აღწევენ 41392 მილიონს.

—

მოსკოვის სამხედრო შტაბში ცნობებია, რომ კოზლოვში რბევაში მონაწილეობას ჯ.-კაცები იღებენო. ტამბოვიდან გაგზავნილია ჯარი. წავიდნენ საბჭოების დეპუ-

ტატები. კოზლოვში სამხედრო წესები გამოცხადდა.

**ლონდონი** ენკენისთვის 13. ოფიციალური ცნობით ჩვენ იერიში მივიტანეთ იპრის სამხრეთ აღმოსავლეთით, ჩვენი საგრძნობლათ წინ წავიწიეთ ღამით სუფოლსკის ნაწილები მტერს თავს დაესხნენ. მტრის პოზიციები ვუუვორკურის აღმოსავლეთით ჩვენ დავამსხვრიეთ. საკმაო რიცხვი გერმანელების ამოჟლეტილია. ხიშტებით ბრძოლაში გერმანელების ტყვეები წამოვიყვანეთ. აგრეთვე წავართვით ერთი ტყვიის მფრქვეველი.

—

კოსტარიკის მთავრობა აცხადებს გერმანელებთან დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტას. ეს ომის გამოცხადებას არ ნიშნავსო, დასძენს მთავრობა.

—

ქალაქის მართველობა პოლტავაში იურიდიულ ფაკულტეტს ხსნის, როგორც ხარკოვის უნივერსიტეტის განყოფილებას

—

ნიუიორკიდან იტყობინებიან ვილნოში გაიხსნა ეროვნული კრებული რომელიც შეჩერებული იყო 100 წ. წინეთ. მიზანია ლიტვის ნაციონალურ მთავრობის შედგენა, რომელიც დამტკიცებული იქნება გერმანელების მართველებისაგან. ამ უკანასკნელთ უფლება აქვს ნაციონალური მთავრობა უმცირესობის წარმომადგენლებითაც შეავსოს.

—

ჯარის კაცების სექციას პრეზიდიუმის არჩევში პეტროგრადში მონაწილეობდა სულ 336 კაცი, ესერებმა მიიღეს 155 ხმა, ბოლშევიკებმა 138, მენშევიკებმა 39 სექციაში ესერებმა მიიღეს 10 ადგილი ბოლშევიკებმა 9 მენშევიკებმა 3.

—

კოზლოვის დარბევა მთელი დღე გრძელდებოდა მრავალი სარდაფია გაძარცული ზარალი ასი ათასობით არი. სალამოს ყველაფერი დაწყნარდა. ბაზარს ჯარი შემოერტყა.

—

განათლების სამინისტრო დრ. მთავრობას გადასამტკიცებლად გადასცა კანონ პროექტი პეტროგრადის პედაგოგიურ ინსტიტუტის საქალებო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ. განზრახულია, ისტორიული, ლიტერატურული და ფიზიკო მათემატიკური ფაკულტეტები.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

**საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტში.** საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტმა წინადადება მისცა სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტს, რომ შეატყობინოს კომიტეტს იმ გლეხთა რაოდენობა, რომელთაც მიწა სჭირიათ, აგრეთვე რაოდენობა მოიჯარადრე გლეხებისა, (ხიზნების გარდა) ისეთ გლეხებისა, რომელთაც სრულებით არ გააჩნიათ საკუთარი მამული, და ის, თუ რომელ კუთხეში იმყოფებიან უსახლკაროთ, მიწის მთხოვნელი გლეხები.

✦ **სარევოლუციო ცენტრის დეპეში.** კავკასიის სარევოლუციო ცენტრმა, რომლის თავმჯდომარეც არის ბ-ნი **ევგენი გეგეჭკორი** მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატებთან ერთად დაადგინა გამოსცეს თავის საკუთარი ბეჭვდითი ორგანო. ამისათვის საჭირო სალსარი ცენტრს თავის განკარგულებაში არ აქვს. ამის გამო კავკასიის საოლქო რევოლუციური ცენტრი მიმართავს ყველა სარევოლუციო ორგანიზაციებს, აღმასრულებელ კომიტეტებს, როგორც ბრძოლის ველზე ისე ზურგს უკან, მუშათ, ჯარისკაცებს და გლეხებს და სთხოვს, რომ ყველამ თავისი წვლილი გაიღოს საოლქო სარევოლუციო ცენტრის ორგანოს დასაარსებლათ.

ამ მიზნისთვის ცენტრი მოუწოდებს ყველა მუშებს და პროფესიულ კავშირებს, რომ ენკენისთვის 30-ს თავისი დღიურ ხელფასის ნახევართ გადასდონ სარევოლუციო ცენტრის ბეჭვდითი ორგანოს ფონდისთვის და ამ დღეს დაერქვას საოლქო ცენტრის დღე.

✦ **ზუგდიდის კომისარიატის მოთხოვნილება.** გუბერნიის კომისარი თბილისში კელარევს დეპეშით ატყობინებს, რომ ზუგდიდის კომისარიატის მოსამსახურენი გაფიცვით იმუქრებიან, თუ მათი მოთხოვნილება არ იქმნა დაკმაყოფილებული. გუბერნიის კომისარი მოითხოვს, რომ საჩქაროთ იქმნას გამოგზავნილი ფული ზუგდიდის კომისარიატის მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ. ამავე დროს გუბერნიის კომისარმა ზუგდიდის კომისარიატს აცნობა, რომ მის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომა მოსამსახურეთა დასახმარებლათ.

✦ **დაპატიმრება.** გუბერნიის კომისარის, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს სექციების განკარგულებით დააპატიმრეს ლუკა მღვდლაძე.

✦ **84,000 მან. მოთხოვნა.** გუბერნიის კომისარი თბილისში კელარევს დეპეშით სთხოვს გამოგზავნილ იქმნას 84,000 მან. ქუთაისის სახალხო მილიციის აგვისტოს და ენკენისთვის შესანახ ხარჯისთვის.

✦ **უკანონოთ დატუსაღება.** ჭრებალოდან მელიტონ გარდაფხაძე გუბერნიის კომისარს დეპეშით ატყობინებს, რომ მას ჰქონდა გუბერნიის კომისარისაგან მიცემული თავისუფლების ქაღალდი, მაგრამ მიუხედავათ იმისა, იგი მაინც დაიპატიმრეს.

✦ **სხდომის გადადება.** ენკენისთვის 14-ს დანიშნული იყო საგუბერნიო აღმ. კომიტეტის სხდომა, რომელზეც მეტად საჩქარო და სერიოზული კითხვები უნდა გარჩეულიყო. წევრებს უწყებები დაუგზავნეს სიმხლში და ყველამ ხელი მოაწერა, მაგრამ სხდომას კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა, რის გამო სხდომა ორშაბათისთვის გადაიდვა.

✦ **მუშათა შორის**. ქუთაისის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიული კავშირის გამგეობამ დაადგინა, დაარსდეს შეგირდების მომზადებელი წრე-კურსები. ამ მიზნით გამგეობამ აირჩია ცალკე სამეცადინო კომისია და პროპაგანდისტთა კოლეგია.

ენკენისთვი 14-ს პროფესიულ კავშირის კრებამ გადასწყვიტა მოაგონოს გამგეობას საკუთარ პროფესიულ სამკითხველოს გახსნითვის მოქმედება და შეადგინოს სამკითხველოსთვის საჭირო ხარჯთ აღრიცხვა.

✦ **უთანხმოება.** ფეხსაცმელების სამკერვალო „პროგრეს-ში“ მუშებს და სამკერვალოს პატრონს უთანხმოება მოუვიდათ. ახლა ხმა დადის, რომ პატრონი სამკერვალოს ლიკვიდაციას ახდენსო, რის გამო მუშები გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან და ეს ერთი კვირაა არ უმუშავნიათ. მუშებმა მიმართეს პროფესიულ კავშირს და აგრეთვე სასურსათო კომიტეტს და სთხოვეს მათი საქმის მოწესრიგება.

✦ **100 ცალი თოფის მიცემა.** ქ. სამტრედიის კომისარიატი გუბერნიის კომისარს სთხოვდა, რომ ქ. სამტრედიის კომისარიატს დასთმობოდა 100 ცალი ვინტოვკის სისტემის თოფი. კომისარმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

**სამოქალაქო პანაშვიდი,** ენკენისთვის 14-არქიელის გორაზე ბაღში გადახდილ იქმნა გ. ფ. ზდანოვიჩის სამოქალაქო პანაშვიდი. ბაგრატის ციხის ნანგრევებში წარმოითქვა მრავალი სიტყვა.

✦ **ტყავეულობის შესაძენად კაცის გაგზავნა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა სხვა და სხვა ადგილებში ტყავეულობის შესაძენათ და საყიდლათ გაგზავნა **სტეფანე ლეკვიშვილი.**

✦ **შეკითხვა**. თბილისის გუბერნიის კომისარი ქუთაისის გუბერნიის კომისარს ეკითხება, ხომ არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ინჟენერი სარქისოვი თბილისის ქალაქის ინჟენერათ. (სარქისოვი ქუთათურია) დაინიშნოს.

✦ **ორგინალი თხოვნა.** დაპატიმრებულმა ჟანდარმმა ნასკოვმა შემდეგი თხოვნა წარუდგინა საგუბერნიო აღმ. კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ გრ. ურატაძეს: „რევოლუციის გამო ყველა ტუსაღს ღმობიერათ მოექცენ. ალ. ბურცევმა ციხიდან გაათავისუფლა ისეთი პიროვნება, რომელიც ბურცევს დამცველ განყოფილებაში აბეზღებდა. პლეხანოვმა როდესაც ეს გაიგო, ბურცევს მიესალმა, რომ იგი ასე მზრუნველობით ეპყრობა პატიმართ. ამის შემდეგ მერათ არ უნდა მომექცეთ ღმობიერათ და არ უნდა გამათავისუფლოთ საპყრობილედან?-სწერს ჟანდარმი ნასკოვი. ნასკოვი აღნიშნავს, რომ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანელ ჯაშუშების დევნაში.

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ალ. ხარატიშვილის** მეთაურობით სოფ. ლაშეში დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „განათლება“.

— **აქეთ წელს** ღვინის მოსავალი რამდენიც მოსალოდნელი, იყო იმდენი არ იქნება, რადგან წვიმებისაგან ყურძენი დალპა. ამას თან დაერთო ნაცარი რითაც მზა მზარეული მოსავალი მთელათ ისპობა და დაიმედებული მეხოვრენი დიდ სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი.

აქეთ ავაზაკობამ მწვავე ხასიათი მიიღო, 2 სექტემბერს სოფ. ღვერკში ძირულიდან წამოსულს გ. მაჭავარიანს და გ. კიკნაძეს დაედევნენ ღამით ექვსი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველნი, და მოუნდომეს ფულების წართმევა (ხალხის ფული მიჰქონდათ 12.000 მანეთი), მაგრამ, რადგან იგინიც შეიარაღებული იყვნენ და სოფლებმაც დახმარება აღმოუჩინეს როგორც იყო დიდი სროლის შემდეგ ავაზაკები მიიმალნენ.

— 9 სექტემბერს ძირულაში მოვაჭრე რაჟდენ ნიორაძეს დუქანში შეიპარნენ ავაზაკები და მოინდომეს ფართლეულობის გაპარება. რამოდენიმე თოფი ჩითი ტომარაში ჩაეწყოთ, მაგრამ დუქნის პატრონმა დროზე შეიტყო და ყველაფერი დაატოვებინა ასეთ შემთხვევაში აქეთ ძალიან ხშირია. სამწუხაროთ ადგილობრივი აღმ. კომიტეტი უძლურია წინააღმდეგობის გაწევისთვის.

— ზესტაფონის ახლათ გახსნილ გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყო 11 სექტემბერს, მაგრამ სამწუხაროთ აქ იჩინა თავი ერთმა ცუდმა გარემოებამ: უფროს განყოფილებაში იყო ანგარიშში გამოცდა და კომისიამ ისეთი ამოცანა დაუნიშნა მოწაფეებს, რომ ეს პროგრამას სრულებით არ შეეფერებოდა და, როგორც გამოირკვა ამოცანა გამოიყვანა მარტო ბეს. კელენჯერიძის მომზადებულმა მოწაფეებმა და სხვამ არა... ამაზედ სხვა მოწაფეთა მშობლებმა ,,შენიშვნა‘‘ შეიტანეს და ბ-ნ კელენჯერიძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და, როგორც ამ სასწავლებლის დამაარსებელს თავის მოქმედებაში პროტესტი განუცხადეს, ამისათვის თვით კელენჯერიძისა და საზოგადოების თხოვნით ამ საგანში გამოცდები მეორე დღისათვის გადაიდო... ბ-ნ კელენჯერიძეს საზოგადოება იცნობს საუკეთესო და დამსახურებულ პედაგოგათ და, თუ ასეთ ,,შენიშვნაში‘‘ მან თავი არ იმართლა, სწორეთ სამწუხარო მოვლენათ უნდა აღვიაროთ.

## ქალაქის საბჭოს სხდომა.

13 ენკენისთვე.

### მეოთხე სხდომა.

დღიდან ახალი საბჭოს შემადგენლობის არჩევისა მეოთხე სხდომა იმართება და ერთხელაც ვერ მოხერხდა, რომ კრება დანიშნულ დროს გაეხსნათ. ხმოსნებს თუ სტუმრებს ყოველ სხდომებზე ლოდინი უხდებათ, რაც სამართლიან გულისწყრომას იწვევს. 13 ენკენისთვეს კრება 7 საათზე უნდა გახსნილიყო. დანიშნულ დროს ყველა ხმოსანი მოვიდა. სტუმრებით დარბაზი გაივსო. პრეზიდიუმის შემადგენლობა „კაბინეტში“ იმყოფება, რაღაცაზე თათბირობს.

9 საათზე დარბაზში გამოდის საბჭოს თავმჯდომარე ა. ჯაფარიძე და სხდომას გახსნილათ აცხადებს.

### დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღის წესრიგში განსახილველათ შეტანილია შემდეგი საკითხები:—

1. არჩევნები სასკოლო კომისიისა, 2. საფოთიაქო კომისიისა, 3. საფინანსო კომისიისა, 4. ტეხნიკურ კომისიისა 5. სარევიზიო კომისიისა, 6. იურიდიულ კომისიისა, 7. ჯანმრთელობის კომისიისა, 8. ბალნეოლოგიურ კომისიისა, 9. საბაღოსნო კომისიისა, 10. სამეურნეო კომისიისა, 11. საბიბლიოთეკო კომისიისა, 12. საპენსიო კომისიისა, 14. ქუჩების სახელწოდების და ქალაქის გამამშვენიერებელ კომისიისა, 16. ბინის კითხვის მომწესრიგებელ კომისიისა, 17. ჯარის დემობილიზაციის კომისიისა, 17. არჩევა წარმომადგენლებისა თანახმად დასავლეთ-საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის წერილობითი მიმართვისა, 19. სასურსათო კომიტეტის წევრის არჩევა, 20. პეტროგრადის თათბირზე დასასწრებლად წარმომადგენლის არჩევა, 21. დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობი კომისიის წევრების არჩევა და სხვა.

თავმჯდომარე ამბობს, რომ კომისიები დანაწილებულია ჩვენ მიერ არჩეულ საორგანიზაციო კომისიის მიერ, რომელშიდაც შედიოდა ყველა ფრაქციის წევრები. ხოლო ამაზე მსჯელობა კიდევ გავმართოთ და ჩვენის მოსაზრებისამებრ შევამოკლოთ ან მივუმატოთ რომელიმე კომისიაო.

**ხმ. კოსტავა**. მოითხოვს, მოსმენილ იქმნას მოხსენება საორგანიზაციო კომისიის მიერ.

**აკ. ფალავა** ცხარე პროტესტს აცხადებს: აქ დაბარებული ვიყავით 7 საათზე და სხდომის გახსნას კი ძლივს 9 საათზე ველირსეთო. იგი მოითხოვს, რომ ეს ვარემოება ოქმში შეიტანონ, და მეორეთ ასეთი რამე არ განმეორდეს.

**ალ. გაფრინდაშვილი**: გთხოვთ წაგვიკითხოთ წასული კრების ოქმი.

**თავმჯდომარე:** ოქმი მზად არა გვაქვს, რადგანაც საბჭოს მდივანი არ გვყავდა.

### პეტროგრადის თათბირზე დასასწრებლათ წარმომადგენელის არჩევა.

თავჯდომარე საბჭოს აცნობებს, რომ პეტროგრადის თათბირი, რომელიც უნდა დაწყებულიყო 12 ენკენისთვეს, 14 ენკენისთვისთვის გადაიდო. ქალაქის გამგეობას დეპეში მიუღია, რომ გარდა იმ ერთი წარმომადგენლისა, რომელიც გაგზავნილია, ქუთაისს უფლება ეძლევა გაგზავნოს კიდევ ორი წარმომადგენელი.

**ხმ. გეგელაშვილის** აზრით პეტროგრადის თათბირს აქედან გაგზავნილი კაცი ვერ ჩაუსწრებს. იგი მოითხოვს დეპეშით პეტროგრადში მყოფ ილ. ფირცხალაშვილს თათბირზე დასასწრებლად დეპეშით მანდატი გაეგზავნოს.

**ალ. წერეთელი**: დასელები ყოველ ფეხის გადადგმაზე გვისაყვედურებენ, ვითომც ჩვენ შეთანხმების პრინციპს გავურბოდეთ. და, როდესაც ჯერი მიდგა მეორე წარმომადგენლის არჩევაზე, ამ ადგილსაც თვითონ იჩემებენ და ჩვენს ინტერესებს ანგარიშს არ უწევენ.

**თალაკვაძე**: ჩვენ შეთანხმებისაკენ ყოველთვის გვაქვს ხელი გაწვდილი, მაგრამ ს.-ფედ. ყოველთვის გაგვირბიან. მათ მუშაობა არ უნდათ. რაც შეეხება ფირცხალაშვილის არჩევას, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ აქედან გაგზავნილი კაცი თათბირს ვერ ჩაუსწრებს და ფირცხალაშვილი კი პეტროგრადს იმყოფება და შეუძლია ჩვენი სურვილები გადასცეს თათბირს.

**ა. ფალავა**: თუ დასელებს მოეპოებათ პეტროგრადში ფირცხალაშვილი, ჩვენც გვყავს იქ ღირსეული კაცები და მოვითხოვთ, რომ ეს ერთი ადგილი ჩვენ დაგვითმოთ.

**ალ. წერეთელი**: თალაკვაძემ თავი შეიკავოს. შეთანხმება მარტო აქ, ამ კედლების შორის კი არ უნდა მოხდეს, არამედ ყველგან. მაგრამ რას ვხედავთ? არ მინდოდა დღეს. ამის თქმა, მაგრამ თქვენ მაიძულეთ გუშინ ჭიათურიდან კიდევ საზიზღარი ამბავი მივიღეთ: ჩვენ ათასგვარ ცილს გვწამებენ „ხულიგნებსაც“ კი გვიწოდებენ, და ამას შემდეგ კიდევ შეთანხმებისკენ მოგვიხმობთ? ჩვენ დაგისახელებთ პეტროგრადში მყოფ ჩვენს ამხანაგს და, თუ იმას თქვენ მხარს არ დაუჭერთ, თქვენ დაამტკიცებთ, თუ როგორი შეთანხმებისაკენ მოგვიწოდებთ.

**ი. კაკაბაძე**: მოაგონებს კრებას, რომ თათბირზე გასაგზავნათ არჩეულ იყვნენ გ. ურატაძე და გობეჩია, და მოითხოვს განმარტებას, რათ გაგზავნეს პირველი და მეორე კი არა.

**გრ. ლალიძე**: უმრავლესობის ფრაქციის ამხანაგები მეტად გულ-მავიწყნი არიან. როდესაც პეტროგრადის თათბირის შესახებ სხდომა გვქონდა, იმათ არ ინებეს ფირცხალაშვილისათვის მანდატი გაეგზავნათ, და დაადგინეს, რომ წარმომადგენელი აქედან გაეგზავნათ.

მაშინ თუ არ შეიძლებოდა მანდატის გაგზავნა, რით ხელმძღვანელობენ ეხლა ისინი, როდესაც მათ მიერ უარყოფილს, თითონვე თანაუგრძნობენ.

მათ ერთი წარმომადგენელი უკვე ჰყავთ. პეტროგრადის თათბირს დიდ როლს არგუნებენ. შეიძლება ეს თათბირი რუსეთის პარლამენტადაც გადაიქცეს და არც ისე მალე დასრულდება, როგორც ჩვენ გვგონია და აქედან გაგზავნილი კაციც ჩაუსწრებს. ამასაც რომ დავანებოთ თავი, ჩვენც გვყავს იქ კაცი, და სამართლიანობა მოითხოვს, რომ ჩვენს სოციალისტურს, რევოლუციურ პარტიას ყავდეს წარმომადგენელი ისეთ თათბირზე, როგორიც პეტროგრადის თათბირია. მაგრამ შეთანხმების საქმე სოც. დემოკრატებს ასე ესმით:—„რასაც ჩვენ ვეტყვით, ისინი ყველაფერზე უნდა დაგვეთანხმონო.

**გობეჩია**: ქალაქის კასის სიცალიერე ჩვენ ნებას არ გვაძლევს წარმომადგენელი აქედან გავგზავნოთ. ეს მე პირველ არჩევნების დროსაც ვსთქვი, მაგრამ ჩემი წინადადება არ მიიღეთ. პირველად არჩეულ იყო ურატაძე და კანდიდატათ კი მე.-ამ რიგათ ჩემს თავს მე არჩეულათ ვრაცხ.

**ხმ. გეგელაშვილი.** (ფედ. ფრაქციას) მოაგონებს: —ჩვენ საპასუხისმგებლო საქმეებში არ ერევით. თათბირიც საპასუხისმგებლო არისო.

**ხმ. მაჭავარიანი** (ს. დ.) იწყებს სიტყვას რუსულათ. ს.-რევოლ. ფრაქციიდან ისმის ხმა:—ქართულად! ქართულად! ასტყდება აურ-ზაური, კვლავ გაისმის ხმები —რუსული არ გვესმის და სხვ. მაჭავარიანი მაინც განაგრძობს სიტყვას რუსულად. ის ეთანხმება გეგელაშვილს და ამბობს წარმომადგენლად მხოლოდ ხმოსანი უნდა გავგზავნოთო.

საბჭო თავმჯდომარეს აიძულებს, რომ მაჭავარიანის ნალაპარაკევი გადათარგმნოს.

**ა. ფალავა** ეხება შეთანხმების კითხვას და ამბობს: დასელებს ასე ესმით ეს კითხვა, რომ მათი მოთხოვნილება ყოველთვის დავაკმაყოფილოთ. პეტროგრადის თათბირზე ყველა დემოკრატიული ორგანიზაციებიდან უნდა გაიგზავნოს წარმომადგენლები. რაც შეეხება იმას, თათბირზე მაინც და მაინც ხმოსანი გაიგზავნოსო, ეს არ შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს, და ამისთვის პეტროგრადელ ჩვენს თანამოაზრეს მიეცეს უფლება თათბირზე დასწრებისა.

**ა. წერეთელი**: საბჭო არ წარმოადგენს რომელსამე განსაზღვრულ პარტიას, ჩვენ იმისთვის გვინდა გავვზავნოთ ჩვენი კაცი, რომ ამით რევოლუცია გაღრმავდეს. იქ უნდა იყვნენ ყველა დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი. რაც შეეხება იმას, რომ წარმომადგენელი უსათუოთ ხმოსანი უნდა იყვესო, ეს გაუგებრობას ბადებს. ჩვენი არა ხმოსანი წარმომადგენელი იმას იტყვის თათბირზე, რასაც ჩვენი ხმოსანი. გობეჩია მხოლოდ კანდიდატათ იყო არჩეული- ეს ადგილი ჩვენ გვეკუთვნის. თქვენ ვერ აღგვიდგებით წინ და უფლება უნდა მოგვცეთ, რომ ჩვენი წარმომადგენლის ხმა იქ გაისმოდეს.

**გოლდმანი** (კითხულობს დაუსრულებელ ლექციას). სხვათა შორის ამბობს რომ თათბირი ხვალ 14 ენკენისთვეს იწყება. დღეს რომ კაცი ავირჩიოთ, ვერ ჩაუსწრებსო. ს.-ფედერალისტებმა ყოველივე ორგანიზაციაში მუშაობაზე უარი განაცხადესო.

ხმები სიცრუეა, ცილისწამებაა· აურზაური.

თავჯდომარე განუმარტავს გოლდმანს, თუ რა აზრს ადგანან ს.-ფედერალისტები ორგანიზაციებში მუშაობის შესახებ.

გოლდმანი სიტყვას აბოლავებს: ჩვენ თუ თათბირზე წარმომადგენელს ვგზავნით, მოვალეობასაც ჩვენს თავზე ვღებულობთ.

**ხმ. გეგელაშვილს** წინადადება შემოაქვს, რომ კამათი შესწყვიტონ კენჭის ყრით.

**ალ. გაფრინდაშვილი** (ს.-რევ.) თუ კენჭზე წავიდა საქმე, ვიცით ჩავახრჩობთ. აქ უნდა მოხდეს შეთანხმება.

**გელაზაროვს** მოჰყავს საზღვარ-გარეთელ რამდენიმე გამოჩენილ იურისტის ციტატები. ფორმა უნდა ასულდგმულებდეს საქმესო. წარმომადგენლად მხოლოდ ხმოსანი უნდა ავირჩიოთო.

კენჭი უყარეს რამდენიმე წინადადებას. დაადგინეს, რომ მხოლოდ ხმოსანი გაიგზავნოს წარმომადგენლად.

**გრ. გიორგაძე** თხოულობს, კრება რამდენიმე წუთით შეწყდეს, რომ ფრაქციებმა ერთმანეთში მოილაპარაკონ შეთანხმების შესახებო.

კრება გიორგაძის წინადადებას ღებულობს. კრება წყდება.

კრება განახლდა 20 წუთს შემდეგ.

**გრ. გიორგაძე**: ჩვენი ფრაქცია საკითხს ასე უყურებს: თათბირზე უნდა წავიდეს წარმომადგენელი იმ ფრაქციისა, რომელიც რევოლუციის ინტერესებს და ქალაქის საქმეებს სათავეში უდგია. ჩვენ ვასახელებთ ხმ. თალაკვაძეს და მის კანდიდატათ გოლდმანს.

**ალ. გაფრინდაშვილი**: ჩვენი ფრაქცია თავის კანდიდატათ ასახელებს ი. გობეჩიას.

**ა. ფალავა** აქცევს ყურადღებას შეუთანხმებლობას და ამბობს, ს.-დემოკრატებს დღეიდან უფლება არა აქვთ, შეთანხმებაზე ილაპარაკონო.

**გ. გიორგაძე** (აღელვებული) როდესაც ს.-ფედერალისტებმა განაცხადეს, რომ

ისინი თავზე ვერ მოიხვევენ უმრავლესოშის აზრს, ამის შემდეგ იმათ ვერვაგზავნით, რადგანაც ჩვენს წარმომადგენელს ქალაქიდან ვგზავნით და ვგზავნით იმას, ვინც უმრავლესობის იმედებს გაამართლებსო.

**ალ. წერეთელი**: ასეთ სიტყვებს ს.-დემოკრატების ფრაქციიდან მოველოდი, მხოლოდ ამას თუ ხმ. გიორგაძე იტყოდა, ის კი არ მეგონა. ჩვენი პარტია მოქმედებს ისე. როგორც მას მისი ამომრჩევლების ინტერესები უკარნახებს. კიდევ გვექნება შემთხვევა, რომ დასელებმა შეთანხმებაზე ჩამოგვიგდონ ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ დავიმახსოვნებთ მათს მოქმედებას. თბილისში ისეთ პარტიასაც კი მისცეს საშუალება, გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი თათბირზე, როგორიც დაშნაკელებია — ჩვენ კი გაგვრიყეს. როგორც სჩანს, აქ მხოლოდ ორი ფრაქცია ყოფილა. დეე ასე იყოს! მაგრამ მოგვეცით ნება, ეს გაკვეთილათ გამოვიყენოთ.

**გრ. ლაღიძე**: მინდოდა გამეცხადებია, რომ ს.-დემოკრატებმა, სადაც უნდათ, იქ გაგზავნონ თავისი წარმომადგენლებითქო. მაგრამ ვერ შევთვისებივართ ცილის-წამებას, ვითომც ჩვენი პარტია მუშაობის დროს ჯანზე იდგეს. ეს სიმართლეს მოკლებულია. როდესაც დადგა მომენტი, რომ პეტროგრადში თავი მოეყარა დემოკრატიას, ჩვენ ვითხოვეთ ერთი ადგილი, მაგრამ ეს თქვენ არ ინებეთ. ჩაგვახრჩვეთ იქ, სადაც გინდოდესთ, მაგრამ გახსოვდესთ, რომ ძველი მთავრობა ათასჯერ უფრო მძიმე ძალას ხმარობდა უმცირესობის წინააღმდეგ, მაგრამ ნიადაგი გამოეცალა და დამარცხდა. თუ დასელებმა ასეთ ძალას თავი არ დაანებეს, იმათაც ასე დაემართებათ და სასტიკათ დამარცხდებიან.

**გრ. გიორგაძე**: ჩვენ ოპოზიციაშია გვიდგია ის ჯგუფი, რომელიც გვებრძოდა მაშინ, როდესაც ჩვენ ძველი მთავრობა გვდევნიდა.

ისმის ხმები: ტყუილია, ცილის-წამებაა. სტყდება აურ-ზაური. თავჯდომარე ზარს აწკარუნებს.

ხმ. გიორგაძე განაგრძობს: და ეხლა ეს ჯგუფი გამომდგარა და გვეუბნება, ვითომც დემოკრატიის წინააღმდეგ მივდიოდეთ. ყოველივე პარტიას აქვს თავისი ისტორია და ჩვენც ისტორიის თანახმად ვიქცევით.

შემოდის წინადადება, რომ კამათი შეწყდეს. წინადადებას კენჭს უყრიან. კამათი წყდება.

კენჭის ყრით თათბირზე გასაგზავნათ არჩეულ იქმნა ს.-დემოკრატების ფრაქციიდან თალაკვაძე და გოლდმანი და ს.-რევოლუციონერთა ფრაქციიდან გობეჩია. (გაგრძელება იქნება)

## საქართველოს საეკლესიო კრება.

### მესამე დღე.

თავმჯდომარეობდა გ. დ. ჟურული. განხილული იქმნა საქართველოს ეკლესიის საორგანიზაციო წესდება. წესდების დამცველად გამოვიდა დეკ. კორ. **კეკელიძე**.

რადგანაც წესდების პირველი ოთხი მუხლი შეეხება უმთავრესად რელიგიის დოგმატიურს მხარეს, სადაც უფრო კომპეტენტ პიროვნებათა საქმეა ნონაწილეობა მიიღოს კამათში ამიტომ დეკ. კორ. კეკელიძის თხოვნისამებრ ის ოთხი მუხლი განუხილველი დარჩა და პირდაპირ მეხუთე მუხლზე გადავიდნენ.

მეხუთე მუხლით იწყება მართვა გამგეობის საკითხი. ამ მხრივაო, ნათქვამია წესდების ამ მუხლში „საქართველოს ეკლესია განიყოფება ეპარქიებად და ეპარქიები ოლქებად, ხოლო ოლქები სამრევლოებადაო“. ამ მუხლს სათანადო კამათი არ გამოუწვევია და თითქმის პირდაპირ იქმნა მიღებული.

შემდეგმა მუხლმა კი თითქმის მთელი სხდომა შეიწირა. ამ მუხლში ნათქვამია: საქართველოს ეკლესიაში 13 ეპარქია არისო! რიცხვი 13 მეტად იბევრა კრებამ. მოწინააღმდეგე მხრიდან ილაპარაკა ი. **ვართაგავამ, მ. გორგაძემ**. ორატორთა აზრით საქართველოს ეკლესია მეტად ღარიბია და შეუძლებელია ამდენი ეპარქია შეინახოსო. თუ მივიღებთ — მხედველობაში, რომ სინოდი გვემუქრება კრედიტის დახურვას, მაშინ ცხადი იქნება, რომ ამდენს ეპარქიებს სრულიადაც ვერ გაუძლებითო.

იყვნენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ისეთნიც, რომელნიც არა, თუ ნივთიერ მხრითა შიშობდენ, არამედ პრინციპიალურადაც. თუ 13 ეპარქია გახსენით, ჩვენ შევქმნით ერთგვარს კასტას, ბიუროკრატიულს მიმართულებას, რის გამოც დემოკრატიულს ნიადაგზე საეკლესიო მართვა-გამგეობას სრულიად მნიშვნელობა დაეკარგებაო.

მეექვსე მუხლის მომხრეთ გამოვიდა **ა. პ. ნატროშვილი**. მან განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენში რიცხვს 3, 5, 10, ან და 13. მაგრამ სხოლისტიურს საბუთებს გარდა საკითხს იურდიული ნიადაგიც მოუნახა: „ბატონებო, თქვენ გაშინებთ ეპარქიების რაოდენობა, გაშინებთ ისიც, თუ რით და როგორ შევინახოთო, მაგრამ გავიწყდებათ ის გარემოება, რომ საქართველოს ეკლესია წყალობას არავისა სთხოვს, როგორც აქამდის არ უთხოვნია სინოდისთვისაო. ჩვენი ქონება, ეს ქონება, 105 მილიონადაა ღირებული, ამ ქონების წაღების დროს რუსეთის მთავრობას ხელი აქვს მოწერილი, რომ იგი ჩვენი საკუთრებაა, ჩვენ გვეკუთვნის, მარტოოდენ მისი პროცენტებით შეგვეძლება მთელი ეპარქიების შენახვაო.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა თვით გეოგრაფიულ-ისტორიული მნიშვნელობა ეპარქიებისა. ამისთანავე შეეკითხა მოწინააღმდეგეთა: ბატონებო, თქვენ შიშობთ 13 ეპარქია რითი დაროგორ შევინახოთო, მაგრამ მე გეკითხებით. გაქვთ კი რაიმე სღსარი, თუნდა ერთი ეპარქიის შენახვისა, თუ რომ ჩვენს ქონებას არ დავიბრუნებთო.

მოწინააღმდეგე **ს. გორგაძე** გაახსენებს კრებას, რომ მაინც 13 ეპარქია მძიმე ტვირთი იქნება ჩვენი ეკლესიისთვისაო აღნიშნავს გაკვრით მთელს იერარქიას, თუ კათალიკოსს ვინ უნდა ახლდნენ, რამდენი ეპისკოპოსი, რამდენი დეკანოზი, რამდენი მღვდელი, ბერი, დიაკონი და სხვა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სულ უმცირედს დიაკონს (მთავარს) უკანასკნელი 200 მან. უნდა ჰქონდეს, მაშინ რამდენი დაგვიჯდება მთელი შტატის შენახვაო. ასეა კათალიკოზი. ახლა ეპისკოპოსი და ამავე დროს 13 ეპარქია სადამდის მიგვიყვანსო.

ამაზე **დეკ. კ. კეკელიძემ** გასცა პასუხი, რომ არავინ ამბობს ამდენი და ამდენი უნდა დაენიშნოს ამას და ამას. ჩვენ გვყავდნენ მღვდელმთავარნი, ვინც უსასყიდლოთ მსახურებდნენო.

მოწინააღმდეგენი მაინც შეუძლებლად სთვლიდნენ ამდენს ეპარქიას. მოითხოვდნენ ქონების მიხედვით გაეხსნათ საჭირო ეპარქიები, შემდეგ როდესაც მოვკეთდებოდით, მაშინ ნელ-ნელ გავხსნათო. ამ ნიადაგზე თითქმის ერთგვარი შეთანხმება მოხდა.

**დეკ. კ. კეკელიძემ** განუმარტა წესდების ამ მუხლში არავინ მოითხოვს, უთუოდ ეხლავე 13 ეპარქია გავხსნათო. ეს ჩვენს შეძლებაზეა დამოკიდებული. აი, შენიშვნაში რა სწერია: „კათედრების სიის შეცვლა და შევსება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების კომპეტენცისა ეკუთვნის“. ცხადია აქ ძალდატანებაზე არაა ლაპარაკი. თუ კი ჩვენი მომავალი საეკლესიო კრება საჭიროდ დაინახავს შეცვლას, გამოკლებას ან შევსებას, მაშინ ასეც მოიქცევაო. რიცხვი 13 ეს პრინციპია, უნდა განხორციელდეს იგი, თუ შესაძლებელია დღეს, არა და თანდათანობითაო.

თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად ჩასთვალა და კენჭი უყარა კიდეც. უმრავლესობამ მოითხოვა წესდების მეექვსე მუხლი უცვლელად დარჩესო.

შემდეგი კრება დანიშნულია მეორე დღისთვის, სიონში, დილის ათი საათისთვის. ხოლო იმავე დღის საღამოს რვა საათისთვის კომისიას მიანდვეს წესდების შემდეგი მუხლების განხილვა.

—

### საეკლესიო კრების დელეგატები

მანდატებით მონაწილეობას იღებენ: თბილისისა, გურია-სამეგრელოისა და იმერეთის დროებით საეკლესიო საქმეთა სამმართველოს წევრნი, 2) წარმომადგენელნი საკათალიკოსო არქიმანდრიტებისა და ბერ-მონაზონთა, 3) საკათალიკოსო სასულიერო სასწავლებლებისაგან 11 დელეგატი, 4) აფიცერთა მხრივ 3 დელეგატი, 5) სალდათებისა 10, 6) სამხედრო ექიმებისა 1, 7) ქალაქ თბილისიდან 11, 8) თბილისის მაზრიდან 12, 9) გორის მაზრიდან 36, 10) დუშეთისა 12, 11) ახალციხიდან 7, 12) თელავისა 12, 13) სიღნაღისა 16, 14) თიანეთისა 7, 15) საინგილოდან 4, 16) ქუთაისის მაზრიდან 38, 17) შორაპნის 28, 18) რაჭისა 15, 19) ლეჩხუმისა 14, 20) ოზურგეთისა 21, 21) სენაკისა 46, 22) ზუგდიდის 25. 23) ბათომიდან 4, 24) სამურზაყანოდან 14. 25) აფხაზეთიდან 8, 26) უდინებისაგან 2, 27) ერევნიდან 1, 28) კავკავიდან 2, 29) გუმბრიდან 1, 30) ბაქოდან 2 და 31) სპარსეთიდან 1 დელეგატი.

## საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია.

### საეპარქიო მართვა გამგეობა.

§ 16. საეპარქიო მმართველობის ორგანო არის **საეპარქიო კრება**, რომელიც ორგვარია: ჩვეულებრივი წელიწადში ერთხელ და არაჩვეულებრივი — საჭიროების დაგვარად. კრებას იწვევს საეპარქიო საბჭო და თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი; როცა მღვდელმთავარი არ არის, კრება თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს სამღვდელო პირთა შორის. კრებავე ირჩევს პეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებსაც. საეპარქიო კრებას შეადგენენ: სამღვდელოთა — მოიაზონთა და ერისგანთა წარმომადგენელნი. სახელდობრ: თვითეული ოლქიდან თითო მღვდელი, ერთი მთავარდიაკონი ან წიგნის მკითხველი და ორი ერისაგან, აგრეთვე ორი წარმომადგენელნი ეპარქიის მონასტრებისა (ერთი ბერმონაზონი და ერთი ქალმონაზონი) და თითო წარმომადგენელი საეკლესიო სასწავლებლებისა ეპარქიაში

§ 17. საეკლესიო კრების უფლებას შეადგენს: ა) ეპისკოპოსისა, საეპარქიო საბჭოსა და საეპარქიო სასამართლოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა; ბ) თვალყურის დევნება საეპარქიო ცხოვრებისა და საეპარქიო დაწესებულებათა მოქმედებისა; გ) ეპარქიის დანაწილება საოლქოებად, ან არსებულ ოლქთა გადამიჯვნა; დ) ზრუნვა საეკლესიო, სამოსწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისა, გაუმჯობესებისა და ნივთიერ საშუალებათა გამონახვისათვის ეპარქიაში; ე). ადგილობრივი საბჭოს მიერ შემუშავებულ წესთა და ინსტრუქციების დამტკიცება.

§ 18. საეპარქიო კრების აღმასრულებელი ორგანო არის **საეპარქიო საბჭო**. საბჭოს თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი, ხოლო, როცა იგი არაა, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის არჩევენ თავმჯდომარეს (უსათუოდ სამღვდელო პირთაგან). ეპისკოპოსს გარდა საბჭოში შედის რვა წევრი: სამი მღვდელი, ერთი მთავარდიაკონი ან წიგნის მკითხველი და ორი ერისგანთა წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ირჩევიან საეპარქიო კრების მიერ სამის წლის ვადით. ამათ გარდა საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც თვით საბჭო მოიწვევს.

§ 19. საეპარქიო საბჭოს კომპეტენციას ექვემდებარება: სარწმუნოების და ზნეობის დაცვა-გამტკიცებისთვის ზრუნვა ეპარქიაში; ბ) თვალყურის დევნება სამინისტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; გ) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საოლქო კრებეში ან საოლქო სიბჭოები წარმოუდგენენ; დ) თვალყურის დევნება ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ე) განხილვა საკითხისა ახალი ოლქების გახსნის ან არსებულ ოლქთა შემცირებისა გინდ გაყოფისა და გადამიჯნისა ეპარქიის ფარგლებში; ვ) მოწვევა საეპარქიო კრებისა და ამ კრებაზე განხილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება; ზ) გაცემა ისეთის დოკუმენტებისა, რომელნიც მორწმუნეთა მოქალაქობრივ მდგომარეობას შეეხებიან; ც) საეპარქიო წლიურ ანგარიშის შედგენა საეპარქიო ეკლესიებისა და საკათალიკოზო საბჭოსათვის წარსადგენად; თ) ბერობისა და სასულიერო წოდებიდან განთავისუფლების შესახებ თხოვნის განხილვა და განაჩენის გამოტანა, რომელსაც მოახსენებს საკათალიკოზო საბჭოს; ი) განქორწინების საქმის დაწყება და წარმოება.

**შენიშვნა**: საბჭოში საქმეები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით. მაგრამ, როცა საბჭოსა და მღვდელმთავრის შორის უთანხმოებაა, მაშინ სადავო საქმე გადაეცემა საკათალიკოზო საბჭოს.

§ 20. **ეპისკოპოსი**. ეპისკოპოსი არის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ცხოვრების ხელმძღვანელი და განაგებს ეპარქიას საეპარქიო საბჭოსთან ერთად. საეპისკოპოსო კანდიდატს ირჩევს საეპარქიო კრება, ხოლო ამტკიცებს საკათალიკოზო საბჭო და ხელს დაასხმას კათალიკოზი ეპისკოპოსთა კრებითურთ. საეპისკოპოსო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება და შესაფერი სღვთისმეტყველო მომზადება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში არა ნაკლები საშუალო სღვთისმეტყველო განათლებისა; ფიზიკურად და ზნეობრივად უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას.

**შენიშვნა**: საეპისკოპოსო კანდიდატისათვის ბერად შედგომა სავალდებულო არ არის.

§ 21. ეპისკოპოზს ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში სწავლა-მოძღვრება; ბ) უფლება ყოველგვარის მღვდელმოქმედების შესრულებისა; გ) ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში მორწმუნენი სალს საეკლესიო სწავლას იცავდენ: დ) მას აქვს უფლება ახსნას ქორწინების დროს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესაური კავშირიდან გამომდინარეობენ; ე) სარწმუნოებრივ საქმეებში მასზე დამოკიდებული არიან ეპარქიის ყველა წევრები; ვ) მის სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება; ის აძლევს დროებითს მთავრობას, არა უმეტეს ერთი თვისა საეპარქიო დაწესებულებებში მოსამსახურეთ. — ეპისკოპოსი ვალდებულია: ა) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებს და ცენტრალურ საეკლესიო მმართველობის მიერ კანონიერად გამოცემულს დადგენილებათ, ხოლო, როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონისა ან დადგენილების შესახებ გაუგებრობა რამე დაიბადება, განსამარტებლად ცენტრალურ საეკლესიო მთავრობას მიჰმართოს; ბ) ცხოველი კავშირი იქონიოს სამწყსოსთან და ამ მიზნით ხშირ-ხშირად მიმოიხილოს თავისი ეპარქია; გ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას და, როცა საკათალიკოზო საბჭო მიიწვევს, აღნიშნულ კრებაზე გამოცხადდეს; დ) ცენტრალური საეკლესიო მთავრობის ნებადაურთველად არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება; ე) წირვა-ლოცვის დროს კათალიკოზის სახელს იხსენიებდეს;) ვ) სხვა ეპარქიაში თავისი ნებით არა დაიწყოს-რა; ზ) პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელმთავრებს, საეპარქიო საბჭოებსა და საეპარქიო კრების გარდაწყვეტილებას. როგორც საეპარქიო სასამართლოს თავმჯდომარეს, ეპისკოპოსს უფლება აქვს, ამ სასამართლოს განაჩენის თანახმად, დამნაშავე მღვდელი მღვდელმთავრობიდან განკვეთოს, ეპიტია დაადოს, ანუ მოხსნას და სხვ.

### საოლქო მართველობა.

§ 22. საეკლესიო ოლქში შედის არა უმცირეს 10-სა და არა უმეტეს 15-ს სამრევლოისა.

§ 23. ოლქს განაგებს საოლქო კრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ოლქის თვითეული სამართველოდან ორ-ორი ერისგანთა წარმომადგენელი და ყველა შტატში მყოფი მღვდლები, მთავარ-დიაკვნები და წიგნის მკითხველნი. კრებას თავმჯდომარეობს სამღვდელო პირი კრებისავე არჩევით. საოლქო კრებას იწვევს საოლქო საბჭო და იგი კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს ყველა წევრთა მესამედისა. საოლქო კრება არის: ჩვეულებრივი — წელიწადში ორჯელ და არა ჩვეულებრივი — საჭიროებისდაგვარად.

§ 24- საოლქო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საოლქო საბქოსი და საოლქო სასამართლოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა, აგრეთვე არჩევა დელეგატებისა საეპარქიო და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის; ბ) ზრუნვა სამრევლოებში საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებისა და წარმატებისათვის: გ) ზრუნვა ქვრივ-ობოლ-გაჭირვებულთათვის და საზოგადოდ საქველმოქმედო საქმის მოწყობა ოლქში; დ) საოლქო საბჭოს მოქმედების ანგარიშთა განხილვა; ე) შუამდგომლობის აღძვრა და მოსაზრებათა წარდგენა შესახებ ახალის სამრევლოების დაარსებისა, არსებულ სამრევლოთა გაყოფისა და შემცირებისა; ვ) სასყიდლის დანიშვნა საოლქო საბჭოსი და საოლქო სასამართლოს მდივნისა და საქმის წარმოებისათვის.

§ 25. საოლქო კრების აღმასრულებელი ორგანო არის საოლქო საბჭო, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა (უსათუოდ მღვდელი უნდა იყოს) და ექვსი წევრისაგან (ამათში ორი მღვდელია, ერთი მთავარ-დიაკონი ან წიგნის მკითხველი და სამი ერისგანი.), რომელთაც ირჩევს საოლქო კრება სამი წლის ვადით. ყოველ წლის ბოლოს ერთი წევრთაგანი წილის ყრით გადის საბჭოდან. მაგრამ შეუძლიან მეორედაც არჩეულ იქმნას. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც იწვევს თვით საბჭო.

§ 26. საოლქო საბჭო: ა) ადგენს საოლქო წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საოლქო კრებასა და საეპარქიო საბჭოს; ბ) წინასწარ დაიმუშავებს საკითხებს, რომელნიც საოლქო კრებას უნდა წარედგინოს განსახილველად; გ) იწვევს საოლქო კრებას და ხელმძღვანელობას უწევს სამრევლო კრებებს ოლქში; დ) იძლევა საჭირო ცნობებს ოლქის დაწესებულებათა და მოსამსახურე პირთა შესახებ, როცა ამას უმაღლესი საეკლესიო დაწესებულებანი მოითხოვენ; ე) ზრუნავს ნოაწესრიგოს კრებულის წევრთა შორის ამტყდარი უთანხმოებანი სამმო შემოსავლისა და საზოგადოდ სამეურნეო საქმეების გამო, აგრეთვე ამავე ხასიათის უთანხმოებანი კრებულის წევრთა და სამრევლო საბჭოებს შორის და სხვ.

**შენიშვნა**: დაწვრილებით ინსტრუქციის საოლქო საბჭოებისათვის შეიმუშავებს საკათალიკოზო. საბჭო.

(შემდეგი იქნება)

### ჩვენი ფოსტა.

**მოქალაქეს**. თქვენი წერილი „ დასტური ა. საჩინოლის წერილს“ არ დაიბეჭდება, რადგან რედაქციისათვის არ გიცნობებიათ თქვენი ვინაობა და მისამართი.

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან, | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში